სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

37194890140212

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N120963617

რეგისტრაციის თარიღი

10.09.2012 წ

ნოტარიუსი: დავით ჩალათაშვილი
მისამართი: თბილისი,მტკვრის ქ.#4
ტელეფონი: 2952228

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორი ათას თორმეტი წლის ათ სექტემბერს, მე საქართველოს ნოტარიუსს დავით ჩალათაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე ქ. თბილისი, მტკვრის ქ. №4, მომმართა: შპს "საქართველოს ბუტიკების სასტუმროების" (ს/კ:204546928) დირექტორმა გაი ბარნესმა და მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. გაი ბარნესმა წარმომიდგინა შპს "საქართველოს ბუტიკების სასტუმროები"–ს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B11139082, ამონაწერის მომზადების თარიღი: 26/09/2011, ს/კ 204546928 და შპს "საქართველოს ბუტიკების სასტუმროები"–ს წესდება (ასლი), რომლითაც დასტურდება, რომ გაი ბარნესი ნამდვილად არის შპს "საქართველოს ბუტიკების სასტუმროები"–ს დირექტორი.

სანოტარო მოქმედების განხროციელებაში მონაწილეობდა თარჯიმანი მერაბ ახმეტელმა (პ.ნ.01006018776, მისამართი: თბილისი დიღმის მას. III კვ. კორ. 6ბ ბ. 16, დაბადების თარიღი 03.11.1987წ., პირადობის მოწმობის სერია: 11IB15472, სერტიფიკატის №026GE0015002, გაცემული კემბრიჯის უნივერსიტეტის ადგილობრივი გამოცდების სინდიკატის მიერ 2002 წლის ივნისში, ხელმოწერილი კემბრიჯის უნივერსიტეტის ვიცე-კანცლერის მიერ).

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პასპორტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: გაი ბარნესმა (დაბადებული 20.05.1974წელს, ისრაელის მოქალაქე, პირადი ნომერი 0-2729024-6, პასპორტის ნომერი: 11214082, მისი განცხადებით მცხოვრები: ჰანაქსხოლ 37, რიშონ ლეზიონი, ისრაელი) მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც მოიწონა გაი ბარნესმა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

მინდობილობა

<u>„მინდობილობის გამცემი"</u> გაი ბარნესი <u>"მინდობილობის მიმღებს"</u>

აჰარონ გაგულაშვილს (საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 1955 წლის 16 აგვიტოს, პირადი ნომერი 01024062435)

ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას, რომ მან, მინდობილობის გამცემის – შპს „საქართველოს ბუტიკების სასტუმროების" სახელით:

1. ხელი მოაწეროს ნებისმიერ გარიგებას კომპანიის სახელით, რომელიც აუცილებლია კომპანიის სახელზე არსებულ მიწის ნაკვეთზე/ებზე მდებარე ქ. თბილისში, ნაკაშიძის ქუჩა №8 და №10-ში მიმდინარე მშენებლობისთვის.

2. მინდობილობის მიმღები არ არის უფლებამოსილი:

   i. გაყიდოს კომპანიის საკუთრებაშია არსებული უძრავი ქონება

   ii. კომპანიის სახელით აიღოს სესხი ან სხვა ფინანსური ვალდებულება,

   iii. დატვირთოს კომპანიის ქონება იპოთეკით, გირავნობით ან სხვა ვალდებულებით,

iv. შეცვალოს სამშენებლო მოცულობა 30%-ზე მეტი ოდენობით.

მინდობილობის მიმღები, ზემოაღნიშნული მოქმედებების შესრულების მიზნით, უფლებამოსილია ხელი მოაწეროს გარიგებებს, წარმოადგინოს კომპანია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან, ქ. თბილისის მერიასთან, ქ თბილისის არქიტექტურის სამსახურთან და ზედამხედველობის სამსახურთან. მინდობილობის მიმღები უფლებამოსილია ხელი მოაწეროს ნებისმიერ განცხადებას, გადაიხადოს მოსაკრებლები და დაწესებული გადასახდელები და განახორციელოს ყველა საჭირო მოქმედება, რაც საჭიროა მასზე ნაკისრი უფლებამოსილების განსახორციელებლად.

არავინ არ შეიძლება ეჭქვეშ დააყენოს მინდობილების მიმღების უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე მინდობილობაში ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი მინდობილობის მიმღების უფლებამოსილებანი. მინდობილობის მიმღები უფლებამოსიან შეასრულოს სხვა ნებისმიერ ქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული მინდობილობაში მაგრამ აუცილებელია დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად

წინამდებარე მინდობილობა ძალაში შედის მისი სანოტარო წესით დამოწმებისას და მოქმედებს ერთი წლის ვადით, 2013 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენაზე ხუთ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს დავით ჩალათაშვილის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი ოთხი გადაეცა მინდობილობის გამცემს. მინდობილობის იმ ეგზემპლარს რომელიც ინახება დავით ჩალათაშვილის სანოტარო ბიუროში თან ერთვის დანართი 2 (ორი) დოკუმენტი:

1. შპს "საქართველოს ბუტიკების სასტუმროები"-ს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

2. შპს "საქართველოს ბუტიკების სასტუმროები"-ს წესდება, (ასლი);

გადახდილია საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული №507-ე დადგენილების 31.7-ე მუხლის თანახმად 10.00 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 2.00 ლარი. სულ გადახდილია 12.00 ლარი.

მინდობილობის გამცემი:

შპს "საქართველოს ბუტიკების სასტუმროები"-ს დირექტორი

გაი ბარნესი ----------


თარჯიმანი

ნოტარიუსი

მერაბ ახმეტელი

დავით ჩალათაშვილი





IDGE013IA58201201024062435<<<<
5508165M2306245GE0<<<<<<<<<<<1
GAGULASHVILI<<AHARON<<<<<<<<<<